



**ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური**

16 აპრილი 2025



N149787

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**„შპს „თევა“-სთვის წერილობითი გაფრთხილების სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2024
წლის 16 დეკემბრის N 116806 ბრძანების არარა აქტად აღიარების თაობაზე**

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ - სამსახური) უფროსის 2024 წლის 16 დეკემბრის N 116806 ბრძანებით, შპს „თევა“-ს (შემდგომ - სუბიექტი; ს/ნ 400213283, მისამართი: თბილისი, გლდანი-ნამალადევის რაიონი, ქერჩის ქ. N6) მიმართ მიღებულ იქნა ბრძანება წერილობითი გაფრთხილების სახით პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების წარუდგენლობის მიზეზით და საწარმოს დაევალა საწარმოს/ჯგუფის ზომითი კატეგორიისთვის კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ინდივიდუალური/კონსოლიდირებული ანგარიშგების წარდგენა ბრძანების გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-9 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად, „სუბიექტი (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა) ვალდებულია მისთვის ამ კანონით დადგენილი ფინანსური ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), მმართველობის ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა ერთად, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა, წარუდგინოს სამსახურს მის მიერ დადგენილი წესით“. ასევე, „თუ სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს, იგი ვალდებულია სამსახურს წარუდგინოს ანგარიშგება მისი ხელმისაწვდომობისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 9 თვისა“.

კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „ამ კანონისა და მის საფუძველზე მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის მარეგულირებელი/ საზედამხედველო ორგანოს რეგულირებისადმი/ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტის მიმართ გამოსაყენებელ სანქციებს განსაზღვრავს შესაბამისი მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანო“.

შპს „თევა“-სთან დაკავშირებით, 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების წარუდგენლობასთან მიმართებით მიმდინარე, შემდგომი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამოვლინდა, რომ სამსახური კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, არ იყო უფლებამოსილი გაეცა კომპანიის მიმართ სანქცია, ვინაიდან სუბიექტი ექვემდებარება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას. აღნიშნული დასტურდება შესაბამისი უწყებიდან 2024 წლის 5 ივნისს მიღებული წერილით N 93538/16.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომ - კოდექსი) მე-60 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. არარად იქნეს აღიარებული „შპს „თევა“-სთვის წერილობით გაფრთხილების სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2024 წლის 16 დეკემბრის N 116806 ბრძანება მისი გამოცემისთანავე;

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ.თბილისი, გორგასლის N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

